ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ
საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისია

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72

N 64 14/07/2015

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის- საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ლელა საჯაიას

ა ნ გ ა რ ი შ ი

16.06.2015 წ.-დან 16.07.2015-მდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების , კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია ახორციელებს ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საკრებულოს რეგლამენტით და კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებას.

საქმიანობას წარვმართავ 2015 წლის სამუშაო გეგმის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია საკრებულოს ბიუროს მიერ 2015 წლის 31 იანვარს.

ზემოაღნიშნულ პერიოდში კომისიამ მოიწვია ორი სხდომა, რომლებზეც განიხილა საკითხები:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ „კულტურის ცენტრის“ სპორტულ-გამაჯანსაღებელი კლუბ “მარულა“-ს დირექტორის ანგარიში მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.
   მომხს: ა. მარტიკოვი
2. ფოლკლორული ანსამბლების: „ელესა“-ს, „იადონი“-სა და „შემოქმედი“-ს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსების თაობაზე.
   მომხს: ლ. საჯაია

კომისიის წევრებმა იმსჯელეს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე და

გადაწყვიტეს:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ. „კულტურის ცენტრი“-ს სპორტულ-გამაჯანსაღებელ კლუბ “მარულა“-ს დირექტორის ანგარიში მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული ფოლკლორული ანსამბლების: „ელესა“-ს, „იადონი“-სა და „შემოქმედი“-ს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსება.

აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის შესაფასებლად კომისია მუდმივად ინარჩუნებს კავშირს მოქალაქეებთან და ახორციელებს მოქალაქეთა პერიოდულ მიღებას. გვქონდა გასვლითი შეხვედრა სოფელ ცხემლისხიდში.

აღსანიშნავია, რომ კომისიამ აქტიურად ადევნებს თვალს მუნიციპალიტეტში მიმდინარე სოციალურ, ჯანდაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს და კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიებებს.

მოგეხსენებათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს სტუმრობდა ლიტვის დელეგაცია ქალაქ ალიტუსიდან . აღნიშნული პროექტი ორივე მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ეს თანამშრომლობა ორიენტირებულია ურთიერთ გამოცდილების გაცვლით მოსახლეობამ მიიღოს გაუმჯობესებული სოციალური ტიპის სერვისები, რადგან მუნიციპალიტეტი არის ძირითადად სოციალური დაცვის სერვისების მომწოდებელი, პასუხისმგებელი და ვალდებული მხარი დაუჭიროს სოციალური დაცვის სერვისების მიწოდებას თავიანთ ტერიტორიებზე. ასევე უზრუნველყოს დაგეგმვა, ორგანიზება და ინტერესის გაზრდა სხვადასხვა ინსტიტუტების მხრიდან. საკრებულოს სხდომათა დარბაზში, სოციალური და ფინანსური სამსახურის სპეციალისტებისთვის კონფერენცია გიმართა. დელეგაციის ხელმძღვანელმა ალიტუსის მუნიციპალიტეტის ვიცე მერმა არვიდა ბალჩიუნასმა პრეზენტაციის სახით ალიტუსის მუნიციპალიტეტის გამოცდილება და ხედვები გაუზიარა ჩვენი მუნიციპლიტეტის წარმომადგენლებს.

ლიტველთა დელეგაცია საქველმოქმედო ასოციაცია „გურია“-ს ესტუმრა და ადგილზე ბენეფიციართა შესრულებით სახელდახელოდ მოწყობილ კონცერტსაც დაესწრო.როგორც ალიტუსის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერმა განაცხადა, საჭიროა ისეთი პროექტების მოფიქრება და განხორცილება, რომლის საშუალებითაც დღის ცენტრის ბენეფიციარები უკვე ლიტვაშიც შეძლებენ ჩასვლას და იქაური კულტურის გაცნობას. რაც თითოეული ბენეფიციარისთვის დაუვიწყარი იქნება.

ერთი კვირის შემდეგ მუნიციპალიტეტის დელეგაცია თავად ეწვია ალუტუსს გამოცდილების გაზიარების მიზნით. კომისიამ მოისმინა შეხვედრის შესახებ ინფორმაცია დელეგაციისაგან, რომელიც დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა უკან.ლიტვის დელეგაციის მხრიდან გამოცდილების გაზიარებამ, ხედვებისა და კონკრეტული პროექტების გაცნობამ, ჩვენ კიდევ ერთხელ დაგავნახა რომ საქართველო მართლაც ევროპული ოჯახის ნაწილია და ჩვენი სწრაფვა ევროატლანტიკური სივრცისკენ უალტერნატივოა.

კომისიამ მხარი დაუჭირა ფოლკლორული ანსამბლების: "ელესა", "იადონი" და მომღერალ-მგალობელთა გუნდი "შემოქმედი"-ს დაფინასებას .რის გამოც ცვლილება შევიდა 2015 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში და კულტურული ობიექტების დაფინანსება 25 ათასი ლარით გაიზარდა.

7 ივლისს სოფელ ცხემლისხიდში საქართველოს სახალხო არტისტის გიორგი სალუქვაძის სახელობის სახლ-მუზეუმი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. სპეციალურად ამ დღისთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტს საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები: ანზორ ერქომაიშვილი, ფრიდონ სულაბერიძე და ჯემალ ჭკუასელი ეწვივნენ. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, სტუმრებთან ერთად გიორგი სალუქვაძის ხსოვნას პატივი მივაგეთ და სოფელ ცხემლისხიდში მისი საფლავი ყვავილებით შევამკეთ.

9 ივლისს პროექტის „დაცული არჩევანი - ეფექტური თვითმმართველობის გარანტი“ -ფარგლებში, დემოკარტული ჩართულობის ცენტრში საქართველოს 8 მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის პირდაპირი გზით არჩეული პირებისა და შესაბამისი თვითმმართველობის ფარგლებში მოქმედი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით ფოკუს ჯგუფების, გამოკითხვის შედეგების პრეზენტაციაში მივიღეთ მონაწილეობა, რომელსაც ოზურგეთის და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.პროექტი მიზანად ისახავდა საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების შედეგად არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხისა და ეფექტური გარანტიების შექმნის ხელშეწყობას, ადგილობრივი თვითმმართველობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის. ძირითადი სადისკუსიო თემები იყო: სისხლის სამართლებრივი პროცედურების განხორციელება;

არჩეული თანამდებობის პირების უფლებამოსილების შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლები; მერის/გამგებლებისათვის უნდობლობის გამოცხადება; საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენება. პრეზენტატორებმა იმ კონკრეტულ თემებზეც გაამახვილეს ყურადღება, რომელიც გამოკითხვის დროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა მაშინ მნიშვნელოვნად მიიჩნიეს. კერძოდ, ხაზინასთან ურთიერეთობის საკითხები და მოსახლეობასთან კომუნიკაციის საშუალებების , ინსტრუმენეტების შემუშავების აუცილებლობის საკითხი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტს ამ კუთხით სიახლეები აქვს, რადგან ჩვენ კონკრეტული ნაბიჯები გადავდგით პრობლემათა დასაძლევად. მომავლი წლიდან პროგრამულ ბიუჯეტირებაზე გადავდივართ, რაც კიდევ უფრო დაარეგულირებს ურთიერთობას ხაზინასთან, ხოლო სექტემბრიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო სხდომების ონლაინ რეჟიმში ტრანსლირებას იწყებს, რაც ვფიქრობ რომ მოსახლეობასთან კომუნიკაციის მართლაც ეფექტური საშუალება იქნება.

აღნიშნული პროექტი „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა“ და „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს“ მიერ ერთობლივად განხორციელდა.

ვიმედოვნებ, კომისია კვლავაც აქტიურად გააგრძელებს დაკისრებული მოვალეობის შესრულებას და მთელი პასუხისმგებლობითა და ყურადღებით მოეკიდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე, კომისიის უფლებამოსილებას დაქვემდებარებულ საკითხებს.

ლელა საჯაია

კომისიის თავმჯდომარე

განათლების,კულტურის,სპორტის,ახალგაზრდულ საქმეთა,ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია